გაზეთი ღირს

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12 . . .	10	—	6	6	—
11 . . .	9	50	5	5	50
10 . . .	8	75	4	4	75
9 . . .	8	—	3	3	50
8 . . .	7	25	2	2	75
7 . . .	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 13 თებერ.

კნეინა ლიუბოვ პეტრეს ასულის ერისთავისა, ბაზილევსკის ასული, კნეინა ქეთევან დიმიტრის ასული და თ. კონსტანტინე დიმიტრის ძე ერისთავები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა პირველი ქმრისა და მეორენი ძმისა მათისა თავ. ელიზბარ დიმიტრის ძის ერისთავისას და სთხოვენ პატივი სცენ და მობრძანდნენ გასასვენებლად გვამისა დიდუბის ეკკლესიაში შაბათს, დილის ათს საათზედ (მიხეილის ქუჩა, სახლი № 159). პანაშვიდი იქმნება გარდახდილი სახლში ყოველ დღე, დილის 12 საათზედ და საღამოს შვიდს საათზედ. 2—2

პარასკევს, 9 თებერვალს,

„ახალი იტალიის"

ბაღში, მუშტაიდს ახლო,

გამართული იქნება ჭიდაობა ცირკის ბრგე და ღონიერ კაცს სტუპინსა და ტფილისის მოჭიდავე კულა გლდანელს შორის.

დასაწყისი ნაშუადღევის 3 საათზედ.

ქართული თეატრი

უკანასკნელი წარმოდგენა

შაბათს, 10 თებერვალს,

ბენეფისი

მ. მ. საფაროვისა

ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

ბედნიერი დღე

კომედ. 3 მოქმედ.

II

ბნელ-ოთახში

ხუმრობა-ვოდევილი 1 მოქმედ.

III

გულმა იგრძნო

დრამატ. ეტიუდი 1 მოქმედ.

მოთამაშენი: ქ-ნნი საფაროვისა, გაბუნია ცაგარლისა, მელიქიშვილისა, ჩერქეზიშვილისა; ბ-ნნი აბაშიძე, გედევანიშვილი, სვიმონიძე, გუნია, ცაგარელი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზედ.

ტფილისი, 8 თებერვალი

ყველას, დიდია თუ პატარა, გაგონილი აქვს, რომ ერთის დანაშაული, თუ შეცდომა მეორისათვის გადასახდელი არ არის, და ამ შემთხვევაში შედეგი ცდომისა, თუ ცოდვისა არას გზით არ უნდა მოეხვიოს კისერზე უცდომელსა და უცოდველსა, რაც გინდ მახლობელიც იყოს ცდომილისა და ცოდვილისა. ვიმეორებთ, ეს ძირეული კანონი მჯავრ დამცების სამართლიანობისა დიდმა და პატარამ იცის დღეს, მაგრამ ძნელად იპოვით იმისთანა ქვეყანას, სადაც ეს ძირეული კანონი არ ირღვეოდეს და ცოდვა, თუ ცდომა ერთისა მთელის თავის შედეგით საზღაურად არ გახდენოდეს მეორეს. ამის აშკარა მაგალითებს თითქმის ყოველ დღე ვხედავთ. აი ერთი ამისთანა მაგალითი, სადაც ეგ უსამართლობა მეტის-მეტად აშკარაა, მეტის-მეტად საგრძნობია და თვალით დასანახი.

წარმოიდგინეთ შვილები, ჯვარდაუწერელ ცოლ-ქმრისა, რა ყოფაში სცვივიან და რა საშინელს გადასახადს ჰხდილობენ მარტო იმის გამო, რომ დაბადებულან სულითა და გულით შეუღლებულთაგან მაშინ, როცა მათი დედ-მამა ჯერ ჯვარ-დაუწერელნი არიან. არამც თუ კანონი სჯის ქორწინების გარედ გაჩენილებს მით, რომ დედ-მამის სახელსა და გვარს არ აღირსებს ხოლმე და დედ-მამის ქონებაზედაც ხელს აღებინებს, არამედ თვით საზოგადოებაცა, რომელიც აგრე უბედურად გაჩენილს სტუქსავს სადაც-კი მოასწრობს და სამარცხვინო დაღით ჰმოსავს, სამარცხვინო სახელით იხსენიებს და ერიდება, თითქო რაღაც რამ უწმინდურია და ჩირქიანიო. სიცოცხლე ამისთანა საცოდავისა გაჩენის დღიდამ სიკვდილის დღემდე მოწამლულია, ჩირქ-მოცხებული და წარმოადგენს ერთს განუწყვეტელს წამებას, ტანჯვას, სულიერად და ხორციელად. სულ რადა? იმისათვის, რომ მისი დედ-მამა შესცდნენ და თავის დროზე ჯვარი არ დაიწერეს, თუნდ ერთმანეთის სიყვარულით აღსავსენიც იყვნენ და ყოველ პატიოსნებით მოსილნი.

ჩვენ იმას არ გამოვუდგებით, ამისთანა საქციელი დედ-მამისა მართლა ცოდვაა, თუ არა და თუნდ რომ ცოდვაც იყოს, ჩვენ მარტო ის გვაკვირებს, შვილებისა რა გადასახადია. მართალია, ამ ცოდვას, თუ ცდომას შვილების ციმბირში გადაკარგვა არ მოსდევს, ანუ სხვა რიგი დასჯა, სასისხლო სამართალში განჩენილი, მაგრამ ყველა სასჯელზე უარესია იგი ზნეობური წამება და წვალება, რომელიც აუცილებლად თანა სდევს საფლავის კარამდის ჯვარდაუწერელ დედ-მამის შვილებს.

კიდევ, ვკითხავთ: რისთვის? შვილები აქ რა შუაში არიან? აშკარაა აქ ერთის მხრით სცდება კანონი, რომელიც, თუ არ სდევნის ეგრედ წოდებულ „უკანონოდ შობილს", სჩაგრავს ხომ, რადგანაც დედ-მამის სახელსაც-კი ართმევს და არაფერს წილს არ უდებს დედ-მამის მემკვიდრეობაში; სცდება თითონ საზოგადოებაც, რომელსაც ერთხელ და ერთხელ გაზებირებული ანაბანა ცრუდ მიჩნეულის ზნეობისა აკერია ენაზედ და ამის ძალით სრულიად უცოდველს, სრულიად უბრალოს კაცს სამარცხვინო ბეჭედს სცემს შუბლზე, თითქო მართლა მისი ბრალი იყოს, რომ ქვეყანაზედ „უკანონოდ" გაჩნდა და ნება-დაურთველად დაიბადა.

დიდი ხანია დადიოდა ხმა რუსეთში, რომ ამისთანა უსამართლობას ბოლო უნდა მოეღოსო და აი ეხლა გაზეთები გვაცნობებენ, რომ მთავრობა შესდგომია შესცვალოს ამ შემთხვევისათვის არსებული კანონი და დედ-მამას გზა და სახსარი მისცეს თავისი ღვიძლი შვილი შვილად გაიხადოს. ხმა დადის, ვითომც იუსტიციის მინისტრს უკვე ხელი მიუყვია ამ საქმისათვის და შეუდგენია პროექტი ახალის კანონისა, რომლის ძალითაც „უკანონოდ" შობილნი კანონიერ შვილებად შესაძლოა ჩარიცხულ იქმნენ. ჯერ დაწვრილებით ეს ახალი კანონი არავინ იცის, ხოლო ზოგადი აზრი ცვლილებისა-კი შემდეგი არისო, ამბობენ გაზეთები.

შვილები, დაბადებულნი ქორწინების წინად იმ დედ-მამისაგან, რომელნიც მერე დაიწერენ ჯვარს, კანონიერ შვილებად იცნობებიან მაშინვე, რაკი მისი მშობლები გვირგვინს იკურთხებენ. ამისათვის საჭიროა მარტო ის, რომ ჯვარის წერის დროს გამოაცხადონ მშობლებმა, რომ ჩვენი შვილია და გვსურს ყოველივე უფლება კანონიერ შვილობისა მივანიჭოთო. ეს ამ წესით უნდა შესრულდეს: „დაბადების მოწმობაში" (метрическое свидѣтельство) დედ-მამამ უნდა ჩასწერონ დაბადება შვილისა და ის, რომ იგი მათგან შობილია, და ხელი მოაწერონ. ეს ხელის მოწერა უნდა შეამოწმონ იმათ, ვინც დამსწრენი და მოწამენი არიან ქორწინებისა, და ქორწინების აღმსრულებელმაც მღვდელმა და ამის შემდეგ ესრედ შედგენილი ხელწერილი „დაბადების წიგნში" (метрическая книга) გადიწერება. მოწმობაში, რომელიც ბოლოს მიეცემათ ამ «დაბადების წიგნიდამ», არ უნდა მოხსენებულ იქმნას, რომ ბავშვი „უკანონოდ" გაჩენილია.

თუ ვისაც ჰსურს ქორწინების შემდეგ კანონიერ შვილად ჩაარიცხვინოს „უკანონოდ" ქორწინებამდე გაჩენილი შვილი, იმისათვის ეს წესია განჩენილი თურმე. თხოვნა უნდა შეიტანოს ამისათვის ოლქის სასამართლოში იქ, სადაც ქმარი სცხოვრობს, და ამასთან წარდგენილი უნდა იქმნას შვილის დაბადებისა და ჯვარის წერის მოწმობა. სასამართლო, რაკი დარწმუნდება, რომ დედ-მამა მართლა

ფელეტონი

ქართული თეატრი

რუსთაველი, ოთხ-მოქმედებიანი პიესა კ. მესხისა.

როგორც შინაარსიდგანა ჰხედავთ *), ავტორს პიესისას უმთავრესს გმირად საქართველოს დიდებული მწერალი შოთა რუსთაველი ჰყავს გამოყვანილი და პიესის დროდ აულია თამარ მეფის ეპოქა, სახელდობრ რუსთაველის რეფორმატორობის ხანა, სწორედ ის ხანა, როცა რუსთაველს ძალა ჰქონდა, სახელმწიფო მოღვაწე იყო, სახლთ უხუცესი. ერთის სიტყვით, პიესა მოგვითხრობს იმის ამბავს, თუ „როგორ ამაღლდა რუსთაველი, როგორ დაეცა". მთელი პიესა რუსთაველს გარშემო ტრიალებს და იმ რიგს ეკუთვნის პიესებისას, რომელთა შორის ითვლება ასეთივე ბიოგრაფიული პიესები გალილეი, რიშელიე, კინი, ქრისტეფორე კოლუმბი, კუკოლნიკის პეტრარკი, კამოენსი, გერმანული პიესა ნაპოლეონი და სხვ. უმთავრესი ნაკლი „რუსთაველისა" ის არის, რომ განსაზღვრული ხასიათი არ აღევს და დრამა მთელს ნაწარმოებში არსადა სჩანს, მაშინ როდესაც კინი მშვენიერი კომედიაა, რიშელიე—საუცხოვო დრამა და სხვ. ავტორს პიესისათვის სიუჟეტი სხვისაგან აულია (ცოტად თუ ბევრად „სტრუენზესა" ჰგავს) და მთელი პიესა იმაზედ მოუხმარებია, რომ რუსთაველი დაეხატა ნათლად, მკაფიოდ დაეყენებინა მაყურებლის თვალ წინ.

უწინარესს ყოვლისა უნდა გამოვარკვიოთ, რომ როცა მწერალი მომქმედ პირებად ისტორიაში ცნობილს გმირებს ხელსა ჰკიდებს, იმის პიესა ისტორიულად ჩაითვლება და ყოველი მოქმედება ისტორიის თანახმად უნდა სწარმოებდეს, თუ არა. ამის შესახებ გამოჩენილი კრიტიკოსები უკვე იმ აზრს დაადგნენ, რომ ისტორიულ დრამების მწერალმა წინ მხოლოდ იმდენად უნდა წაიმძღვაროს ისტორია, რამდენადაც თავისთვის სასარგებლოდ და გამოსაყენებლად დაინახავს. თუ მწერალმა ისტორიული ამბავი აიღო დრამის დასაწერად, იმიტომ-კი არა, რომ მომხდარია და ისტორიით შემოწმებული ის ამბავი, არამედ იმიტომ, რომ თვით ამბავი სადრამოა. მერე ან-კი ბევრმა იცის ისტორია? სულ ერთი არ არის, მწერლის ნაამბობი ისტორიით იქნება შემოწმებულ-დასაბუთებული, თუ ავტორისაგან მოგონილ-შეთხზული, რაკი თითონ ამბავი ადვილად შესაძლებელია და მოსალოდნელი? სცენა ისტორიაზედ გაცილებით ფილოსოფიურად უყურებს საგანს. ამ მხრით ავტორს სრული თავისუფლება აქვს მინიჭებული და შეუძლიან მომქმედ პირებად ისტორიულნი გმირნი გამოიყვანოს, ხოლო პიესის ნასკვი და ქსელი-კი თითონ გამოჰკრას და გააბას ისე, როგორც უფრო სამჯობინაროდ დაინახავს, თუნდა იმ ბადეში არც ერთი ისტორიული ძაფი არ ერიოს: დრამატიულს მწერალს სრული ისტორიული სიმართლე, ისტორიის დაურღვევლობა არ მოეთხოვება.

მართალია, ისტორიის დაურღვეველობა არ მოეთხოვება მწერალს, სრული უფლება აქვს ისტორიის მიუხედავად თითონ შეთხზას ნასკვი და ამ ნასკვზედ დრამის ქსელიც გააბას, მაგრამ ერთი რამ კი უეჭველად უნდა დაიცვას. ეს ერთი რამ ყოვლად შემძლებელი დრამატიულ ხელოვნების ილიუზიაა, წარმოდგენა. როცა მწერალი ისტორიულ გმირის სახელს არქმევს თავისს პიესას და ისტორიულ გმირის დახატვას არის მოწადინებული, უპირველესი ყურადღება იმ გარემოებას უნდა მიაქციოს, რა მხრითაც იყო ეს გმირი უფრო შესანიშნავი. კინი დრამაში ყველაზედ მეტად არტისტად არის გამოყვანილი, რიშელიე—სახელმწიფო საქმეთა კაცად და სხვ. რუსთაველიც უპირველესად ყოვლისა პოეტია, მწერალი, ამითია ეს ისტორიული ადამიანი შესანიშნავი, ამით დაიმსახურა დიდება, იმის სახელის ხსენებაც-კი შეუძლებელია ისე, რომ პოეტი არ წარმოუდგეს კაცს, და აი სწორედ მწერალსაც უმთავრესად ამ მხრით უნდა დაენახვებინა ჩვენთვის რუსთაველი, თუ არ უნდოდა დრამატიულ ილიუზიისათვის ფრთები შეეკვეცნა. პიესაში რუსთაველის პოეტობა უკან არის დაყენებული და უფრო სახელმწიფო საქმეთა კაცად ჰხატავს ავტორი, ვიდრე მწერლად. ამ მწერლის სახელმწიფო მოღვაწეობა და სახლთ უხუცესობა-კი ავტორის ფანტაზიაა, რადგან ჯერ არავინ იცის გარკვევითა და დაბეჯითებით, იმოქმედა რამ ამ სფერაში რუსთაველმა, თუ არა.

ამას გარდა, ისეც რუსთაველის სურათი ვერ არის უნაკლულო და უზადო: მაგალითებრ, განა შესაძლებელია, რომ რუსთაველმა, ამ საოცარმა კაცმა იმ დროის ყველა ქართველ შორის, ამ ღრმად დაფიქრებულმა და გულ-ჩახვეულმა, ისე ადვილად გადუხსნას ყველას გული და იქ ღრმად დამარხული ხვაშიადი დაანახვოს. რუსთაველი ისე ჰფარავს თამარის სიყვარულს, ისე ჰფრთხილობს, არსად წამომცდესო, რომ, როცა ლიპარიტი პირველ მოქმედებაში ორიოდე სიტყვას გადაუკრავს დედოფლის შესახებ, მარტო დარჩენილი თავისს თავს საშინლად უსაყვედურებს:

ოჰ, ჩემო თავო, უბედურო, რად ვერ შეიძელ,
ვერ მოვახერხე შემაგრება... რისთვის და რაზედ
სცემდა აქ სისხლი ისე მაგრად ამ უძლურს გულში,
რომ მის სახელი მან ახსენა და ხვაშიადი
მიძინებული, დამარხული სულის სიღრმეში
რისათვის აღსდგა ვით ჩვენება და შემაშფოთა?
ღმერთს ჩემთვის რად არ მოუცია ეზომი ძალი,
რომ შემძლებოდა საიდუმლოს მტკიცედ დაფარვა...

აქა სჩივის და სწუხს რუსთაველი, რად მიმიხვდაო, და ამის შემდეგ-კი პიესაში მალხაზი, ეს პატარა, უწვერულვაშო ყმაწვილი, ჰკითხავს, მართლა გიყვარსო, და რუსთაველიც აღარას უმალავს, აღარას უფარავს, გულახდილად უამბობს მთელს თავის ამბავს. განა ზემოხსენებულის სიტყვების მთქმელი რუსთაველი, ეს მტკიცე ხასიათისა და ჭკვიანი კაცი, რო-

---

*) იხ. „ივერია" № 28 და 29.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯვარ-დაწერილნი არიან და შვილი სწორედ იმისაგანა ჰყავს ქმარს, ვისზედაც მერე ჯვარი დაუწერია, დაადგენს განაჩენს მასზედ, რომ შვილი კანონიერ შვილად ცნობილი იყოს, მთხოვნელს ამისი მოწმობა მიეცემა და ამ მოწმობის ძალით კანონიერობა შვილისა დაინიშნება „დაბადების წიგნში“.

ჩვენც ვიტყვით ყოველ ამის მაუწყებელ გაზეთთან ერთად, რომ ეს ახალი კანონი სწორედ ღირსია ყოველ გვარის თანაგრძნობისა, ნამეტნავად იმ მხრით, რომ გზა „უკანონო“ შვილის კანონიერად გახდომისა დახლართული არ არის, მარტივია, დაუბრკოლებელი და ადვილად გასავლელი. ესეც დიდი საქმეა.

◆

ახალი ამბავი

⁂ ამას წინად შუაბაზარსა და მის ახლო-მახლო ქუჩებში გავრცელდა სრულიად მოულოდნელად რაღაც სატკივარი, რომლის მიზეზიც ეტყობოდა ცუდი საჭმელი უნდა ყოფილიყო, მკურნალთა აზრით. მაგრამ სახელდობრ, რა საჭმელი იყო ეს საჭმელი, მკურნალებმა ვერ გაიგეს. შემდეგ ერთი მკურნალი მიხვდა, რომ ეს ავადმყოფობა ალბად გამოწვეულია უვარგისის პურის ხმარებისაგან; მკურნალმა პოლიციას შეუკვეთა აღმოეჩინა ამ უვარგისის პურის გამყიდველი, პოლიციამ გამოძიების შემდეგ, აღმოაჩინა, რომ ავადმყოფნი ყიდულობდნენ პურს მეპურე მუჩაიძისაგან, რომელსაც შუაბაზარშივე აქვს თონე. მაშინვე სასანიტარო მკურნალს ბ-ნ ვართანოვს აცნობა ეს ამბავი. ბ-ნი ვართანოვი მივიდა იმ მეპურის დუქანში, გასინჯა გასასყიდი პური და დარწმუნდა, რომ პური გამოუმცხვარი იყო და ფქვილიც უვარგისი და მავნებელი ადამიანის ჯანმრთელობისათვის. ამ საქმეზე, რასაკვირველია, მაშინვე პოლიციამ ოქმი შეადგინა და ამ თთვის 5 სასამართლოს გადასცა, მხოლოდ ხუთი ფუთი გამომცხვარი პური და სამოცდა ათი ფუთი ფქვილი-კი მაშინვე პოლიციამ წაართვა მუჩაიძეს და გადაუყარა.

⁂ ამ დღეებში ტფილისის პოლიციის უფროსმა ბ-ნმა როსსინსკიმ თხოვნა მიართვა ტფილისის გუბერნატორს, ავადმყოფობისა გამო სამსახურიდამ დამითხოვეთო. ვის დანიშნავენ ტფილისიის პოლიციის უფროსად, ამისი ჯერ არავინ არა იცის-რა.

⁂ პატივცემულ თ. იასონ ციციშვილისაგან დაპირებული ხელთ-ნაწერი წიგნები „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ უკვე მიიღო. წარმოდგენილ ხელთ-ნაწერებში ბევრი საყურადღებო წიგნია და ბარათი, ხოლო მათ შორის უმეტესი ნაწილი უფრო საქართველოს სამეფოს არსებობის უკანასკნელს დროს შეეხება.

⁂ ჩვენ შევიტყეთ, რომ აპირობენ ცალკე წიგნად დაჰბეჭდონ ახალი დრამა ბ-ნ კ. ს. მესხისა. წიგნი დიდმარხვის პირველ კვირაში მზად იქნება გასასყიდად.

⁂ სურათების გამოფენა დიდების ტაძარში უკვე 2158 კაცს უნახავს. ფული შემოსულია გამოფენას ამ ხანში, რაც გაიმართა, 500 მანათამდე. 19 სურათი უკვე გაყიდულა, თუმცა ჯერ ისევ გამოფენილია. სურათები უყიდნიათ მთავარ-მართებელს, გუბერნატორს თ. გ. შერვაშიძეს და ბ-ნთ ალიხანოვს, სარაჯიშვილს, წოვიანოვს, თაიროვს, ანანოვს, დ. გურამიშვილს, ფრიდონოვსა და ბარათოვს.

⁂ იმ ბალიდამ, რომელიც წარსულ იანვრის 6 იყო გამართული, შემოვიდა 1874 მანათი. დაიხარჯა 256 მან. და 40 კაპ. წმინდა შემოსავალი დარჩა 1617 მან. 60 კაპ. ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის სასარგებლოდ. გამგე კომიტეტი ამ სასწავლებლისა უუგულითადესს მადლობას უძღვნის ბალის გამგებელს კნეინა მარიამ დიმიტრის ასულს მაღალაშვილისას, ,,კრუჟოკის‘ უფროსებს დარბაზის უფასოდ დათმობისათვის და აგრეთვე ყველა იმათ, რომელთაც თავიანთ შემოწირულობით ამ კეთილ საქმეს შემწეობა აღმოუჩინეს.

⁂ გაზ. «Нов. Обоз.»-ეს სწერენ სიღნაღიდამ, რომ ჩვენს მაზრაში ამ მცირე ხნის განმავლობაში ორი კაცი მოჰკლეს. ერთი მწყემსია თ. ანდრონიკაშვილისა დანუზარაში, ხოლო მეორე შირაქის მინდორში ვიღაც ლეკი, რომელსაც ცხვრის მოპარვა უნდოდა თურმე თუშ ქრისტესია მიქაიბასათ. ლეკი ამ თუშმა მოჰკლა, ხოლო მწყემსი იორ-მუღანლოელმა თათარმა.

⁂ იმავე გაზეთს სწერენ თელავის მაზრიდამ, რომ სოფელი ნაფარეული უმისოდაც ციებ-ცხელებიანი ადგილი იყო და ინფლუენციამ სულ ბოლო მოუღო ამ სოფელს. სამი თვეა მიცვალებულის დამარხვას თავი ველარ ავართვით. ახლა-კი ცოტაოდნად განელდა ეს საშინელი სენიო.

⁂ გაზ. «Минута» ამბობს, რომ ავადმყოფს აფიცრებს, რომელთაც მთავრობა გაჰგზავნის კავკასიის მადნის წყლებზე, ჯამაგირს გარდა მიეცემათ კიდევ დღეში ეხლანდელ სადგომისა და დღიურ ფულის მაგიერ: გენერლებს 2 მან. 50 კაპ., შტაბს-აფიცრებს 2 მან. და ობერ-აფიცრებს—1 მან.

⁂ თებერვლის 7, პოლიციის პირველს ნაწილში, ფეოდოსია ისაკოვასას სპარსეთის ქვეშევრდომმა სახლის მცველმა ოსებ დარვიშმა მოჰპარა ხუთ თუმნამდე ღირებული ქვეშაგები. დამნაშავე შეიპყრო პოლიციის მოხელემ გალიბაბინიმ და ნაქურდალიც პატრონს გადასცა.

⁂ პოლიციის მეცხრე ნაწილში, თებერვლის 8, ღამის ორს საათზე, პოლიციელმა შეიპყრო ტფილისის მცხოვრები ილია გვრაშვილი, რომელსაც მიჰქონდა ტილოში შეხვეული სხვა და სხვა ტანთ-საცმელი, ვერცხლის 16 კოვზი, ხელადა, სარძევე, ჩაიდანი, სასუსრე და ჩაშგა.

◆◆

ნაკვესი

გრიგოლ წერეთელს მაზრის უფროსისაგან რაღაც საყვედურითა და მუქარით სავსე წიგნი მიუვიდა. რომ წაიკითხა, სთქვა:

„მიუწერეს ათინელთა ტუქსვაი და მუქარაი სირაკუზელთა, ხოლო მათ უპასუხეს ვითარმედ დიონისი კორინთეს“.

◆◆

სა[illegible]ლო

ეპისტოლე „ჩიტი-ჩიორას“

წყალტუბელის მიმართ.

„მოგვწერათ, წავიკითხე თქვენი წიგნი, ჩემი ძმა“. დიახ, ბატონო, წავიკითხე და გული ჩამწყდა, რომ „ცნობილი ლიტერატორი“ ასე უთავ-ბოლოდ არახუნებს. რატომ პასუხი არ მომეცით იმაზედ, რომ „ივერიის“ საახალწლო ნომრის თაობაზე გკითხე, სად იყავი, როცა ამ ნომერს აბეჭდვინებდიო,—ჰკითხავთ, ჩვენო უბრო პედაგოგო, ჩვენს რედაქტორსა? ერთი ეს მიბძანეთ,—ეს რა საკითხავია? თქვენ რა გნებავთ, რედაქტორი „ივერიისა“ შინ იყო, თუ არა. ნუ თუ სადმე მიღებულია, რომ ვისაც რომელიმე ნომერი გაზეთისა არ მოეწონება, წავიდეს და სხვა გაზეთის პირით რედაქტორს მოჰკითხოს: „სად იყავი, როცა ჩემ დაწუნებულ ნომერს აბეჭდვინებდიო“? განა ეს პასუხის ღირსია?

ნუ თუ, „ჩვენო ცნობილო ლიტერატორო“, ფიქრად არ მოგსვლიათ გეკითხათ თქვენის მეცნიერებისათვის: არა, ჩემი რა საქმეა, რომ ვკითხები, სად იყო, ან სად არის ხოლმე რედაქტორი? რაო? მამა ვარ იმისი, გამდელი, თუ ლალა!.. ვსთქვათ, რედაქტორი შინ ან რედაქციაში არ იყო, მერე თქვენ რა გნებავთ? განა თქვენ უნდა გაძლიოს კაცმა ანგარიში იმისი თუ,—სად არის და სად არა. ჩვენი გაზეთი, ავია თუ კარგი, თვალ-წინა გაქვთ. თქვენ გაზეთის გამო რაც გნებოთ და რაც „წრფელმა გულმა და საღმა ჭკუამ“ გაგონოთ, ისა სთქვით,—თქვენ რას დაეძებთ ვინ სად არის და სად არა. მაშ კარგი და მართებული იქნება ამას იქით თქვენცა გვითხრათ: სადილად რა მიირთვით, როცა თუჯსა, თითბერსა და ბრინჯაოს კავკასიის მთებში ჰპოულობდით? თუმცა ამისი პასუხი გულ-ახდილად გვიბძანეთ თქვენს უკანასკნელს ფელეტონში, რომ როცა გვესთქვი, „ირონიას“ გიახლებოდიო, მაგრამ არ ვიცით თუჯსა, თითბერსა და ბრინჯაოს, კავკასიის მთებში თქვენ მიერ პოვნილს, რამოდენად მოახარშავს „ირონია“ და რამოდენად მოანელებინებს თქვენს „გულსა წრფელსა და საღსა ჭკუასა“.

„რედაქტორი „ივერიისა“, ამ ბედკრულ გაზეთისაო, გვეგონეთ თქვენ“, უბძანებთ ილია ჭავჭავაძეს, „მაგრამ აღმოჩნდა, რომ ვიღაც „ჩიტი-ჩიორა“ ყოფილაო“.

ბარაქალა თქვენს მახვილ გონიერებას და თვალთა მჭრელობას. ესეც ისე მართლად აღმოგიჩენიათ, როგორც თუჯი და თითბერი. ხოლო იქნება აქაც „ირონია“ იყოს! თუ ესეა, ესეც შეახვიეთ თქვენს «ირონიაში» და პირი ჩაიმტკბარუნეთ. დამიჯერეთ, ეს უფრო ადვილი მოსანელებელია, ვიდრე თუჯი და თითბერი იმავ „ირონიაში“ შეხვეული. ბატონო წყალტუბელო, ერთხელ და უკანასკნელად უწყოდეთ, რომ „ჩიტი-ჩიორას“ საკუთარი რედაქტორია მარტო სახელდახელოსი, სადაც იბეჭდება „უბად-ასალები და წყალ-წასაღები ამბები“. და თუ აქ ბოდიშის მოსახდელია რამ თქვენის სიბრძნის წინაშე, მარტო ისა, რომ თქვენი ნაწერები მივიჩნიეთ „უბად-ასაღებად და წყალ-წასაღებ ამბავად“. ჩვენის ფიქრით, მეტის ღირსნი არ არიან და თუ ამაში ვსტყუვდებით, ჩვენც „ირონიობით“ მოგვიტევეთ. თუ თქვენ „თუჯი და თითბერი“ გადაასულავეთ „ირონიას“, ჩვენც ნება გვიბოძეთ თქვენი „ცნობილი ლიტერატორობა“ ირონიად მივიჩნიოთ.

„პატრონობის ნაცვლადაო, ეუბნებით „ივერიის“ რედაქტორს,—დედი-ნაცვლობას უწევთო, რიგიანად თვალ-ყურს არ ადევნებთო, წამბილწველ (!) მიმებსა და გამდლებს ჩაუგდეთ ხელშიო. ხელის მომწერლებს უსამართლოდ ატყუებთო, ახალწლის-წინადსაც-კი ლანძღვა-გინებით აღვსებული და დამძაღებული ნომრით აბერებთო. ამის მეტი ხომ არაფერი გვი-

---

მელიც ძლიერს დიდ-კაცობას ხელში ბურთსავით აბრუნებს და რომელსაც ისეთი ქალი შეჰყვარებია, რომლისაგანაც თანაგრძნობას არასოდეს არ უნდა მოელოდდეს, პირ-იქით, შეიძლება დაისაჯოს კიდეც, თუ შეჰკადრა რამე და ხვაშიადი გამოუმჟღავნდა, განა ეს რუსთაველი თავისს დაფარულს ამბავს ისე გულ-ახდით, ისე ადვილად გაუზიარებს ვისმე, და მერე ისიც მალხაზს!?.

რუსთაველის სათაყვანო თამარი მეტად მკრთალად აქვს დახატული ავტორს და თითქმის მეასედიც არ არის იმ თამარისა, რომლის სახელს ეხლაც-კი გაოცებით მოიხსენიებს ხოლმე ყოველი ქართველი, ვისაც-კი, ცოტად თუ ბევრად, მეთორმეტე საუკუნის ისტორიისათვის ოდნავ მაინც გადაუვლია თვალი. ისტორიით მთელი დიდება მეთორმეტე, ამ ოქროს საუკუნისა თამარს აკრავს თავზედ შარავანდედად და ავტორს პიესისას-კი ისე მოსვლია, რომ ეს შარავანდედი, ეს დიდება თამარს ერთმევა. აი რას ათქმევინებს დედოფალს ავტორი მაშინ, როცა რუსთაველი სახელმწიფო სამსახურს თავს ანებებს:

მე მეფედ გავხდი და დიდ მეფედ სწორედ იმ დღიდგან,
რა შენთან ვიწყე სახელმწიფო საქმეებზედ სჯა,
და მხოლოდ შენს ხერხს, ჭკვა-გონებას, გამოცდილებას
შეეძლო ესრედ დახლართულის საქმის გარკვევა!
. . . .
ბედის ვარსკვლავს ჩემსას ვუმადლი,
რომ გზა გიკვლია, მოგიყვანა ჩემდა სახსნელად
და კიდეც მიხსენ, განმამტკიცე, როგორც სალი კლდე!!

ეს კიდევ არაფერი. ბოლოს ეუბნება, ჩემს გვერდით უნდა იდგე, რომ სიამაყით შემეძლოს შენზედ ჩვენება:

ეს არის კაცი, დიდებული, ცით მოგზავნილი,
თაყვანი ეცით მუხლ-მოდრეკით! ეგ არს მშვენება,
დიდება ჩვენის სიკვირველის საქართველოსი,
სამაგალითო ღვიძლი შვილი ჩვენის ქვეყნისა!!!

ამ სახით, მოქმედებით-კი არ ვიცით რუსთაველის სახელმწიფო საქმეებში მოღვაწეობა, არამედ სხვისის პირით.

არ გვესმის, რად ათქმევინებს რუსთაველს ავტორი ამ სიტყვებს დავით სოსლანზე.

მარტო ქართველი საქართველოს მეფედ შეშვენის
და რად გაურბივართ, ვეხვეწებით დავით სოსლანსა.
რად გვინდა უცხო, ვინ იცნობს მას აბა თქვენგანი
ისე ბეჯითად, რომ საუნჯე, თაყვან-საცემი
ჩვენი ხელმწიფე გულ-დანდობით თან გაატანოს (?)!

დავით სოსლანი, ეს ოსთა მეფის შვილი, დედით ბაგრატოვანთა შთამომავლობისა იყო, ქართულად აღზრდილი. თამარი თუ მისთხოვდებოდა ვისმეს, ისევ დავით სოსლანს უნდა მისთხოვებოდა, რადგან იმაზედ უფრო უპრიანი იყო, და მსმენელს ვერ აუხსნია, რისთვის იუცხოვა რუსთაველმა ასეთი შთამომავლობითა და გაზრდილობით მახლობელი კაცი ქართველთ ერისა.

მთელს პიესაში რუსთაველს შემდეგ ერთად-ერთი სრული და დახასიათებული ტიპი ლიპარიტ ორბელიანია, თუმცა-კი ვერ გაგვიგია, რად დაურქმევია ავტორს იმისთვის ლიპარიტი, როცა ამ ხასიათის გამოჩენილი კაცი ბაგრატ მეოთხეს დროსა სცხოვრობდა და მაშინ-კი, თამარის დროს, ძნელად თუ იმის ფერფლიც არის დარჩენილიყო დედამიწაზედ. განა არ შეეძლო სხვა ვინმე დარბაისელი გამოეყვანა, ისეთივე დიდებული, ისეთივე პატიოსანი, თამარის დროის კაცი-კი? განა ცოტანი იყვნენ მაშინ გამოჩენილნი კაცნი? ამას გარდა, პიესის დამწერი ისეთს სიტყვებს ათქმევინებს ლიპარიტს, რომელსაც იმის ბუნების კაცი, ჩვენის ფიქრით, სულ არ იტყოდა. რისთვის ებრძვის ლიპარიტი რუსთაველს? აი თვით ლიპარიტი რას ამბობს: მტერი ვარ რუსთაველისა, რადგან

ქრისტეს შობიდამ შეძენილსა ჩემსა უფლებას,
გვარიშვილობას, დიდებასა იგი ხელს უშლის,
უნდა გამსრისოს, გამასწოროს დედამიწასთან!..

თვით რუსთაველს ეუბნება:

დიდ-კაცობაა ჩვენის ქვეყნის სიცოცხლის ძარღვი!!
და ვინც-კი ლამის მის დაცემას, განადგურებას,
მას სურვებია საქართველოს ბოლო მოუღოს!

ამ სიტყვებიდგან აშკარადა სჩანს, რომ ლიპარიტი უსაზღვრო თაყვანისმცემელია დიდ-კაცობისა, დიდ-კაცობის მომხრეა, იმისთვის ფეოდალობის იქით ხსნა აღარ არის და თუ ეს წესი დაირღვა, საქართველოსაც ბოლო მოეღება. ერთის სიტყვით, რუსთაველი ლიპარიტის სათაყვანებელს ძველს წესსა და რჯულს აუქმებს. ლიპარიტის აზრით, ყველაფერი კარგად მოწყობილია და თუ გამეფებული წესი დაირღვა, საქართველოსაც ბოლო მოეღება. ამისთვის იგი ჰმტრობს რუსთაველს და ეუბნება: გაგვეცალე, გაგვშორდიო. ებრძვის და დარწმუნებულია:

თუ წავაგე, იმას აღნიშნავს,
რომ აღარ სუფევს ქვეყნად წესი, ხალხში სიმართლე.

და ამავე დროს იგივე ლიპარიტი-კი რუსთაველზედ ასეთს სიტყვებს ეუბნება დედოფალს:

ცრუ-მორწმუნენი სავსე სახლის, ძველის, დამპალის
ლამის დანგრევა...

ეთქვათ აქ დაცინვით ამბობს. ან კიდევ მეორე ადგილას, როცა დედოფალს რუსთაველის პატიებასა სთხოვს და როცა დაცინვისათვის არავის სცხელა, რას ეუბნება რუსთაველზედ:

ვაფრთხილე კიდეც, რომ ვერ შესძლებს
და უცხო მხარეს შეძენილი სწავლა, გონება
არ გამოდგება აქ, ამ ხალხში, სად სუფევს
მხოლოდ
შური და მტრობა!

მაშ რაღა ებრძვის, აკი რუსთაველიც იმას სჩივის, რომ შური და მტრობაა. ამ სიტყვებით ლიპარიტი ხომ ეთანხმება რუსთაველის აზრს, და რომ დაეთანხმოს-კი, ლიპარიტი ისთის ბუნების კაცია, მტრობასა და ბრძოლას-კი არა, მომხრეობასა და მფარველობას გაუწევს.

არ გვესმის აგრეთვე რისთვის შემოდის შუაღამისას ორთელიშვილი

თქვამსო და გვიკადრებიაო? მაშ გაწყრომა რად ინებეთო?“

განა ამაზე მეტი კიდევ გინდოდათ გეთქვათ. სხვა რაღა დაგრჩათ უწმაწურობის ლექსიკონისა?

ამის მეტი ხომ არაფერი გვითქვამს და გვიკადრებიაო?! გაგონილა! და განა ამაზე მეტი უკადრისობა-ღა იქნება ლიტერატურაში, თუ სხვაგან სადმე? აშკარაა, თქვენ, მეცნიერო პედაგოგო, „ბილწად“ ხსენება ვისიმე უკადრისობად არ გიცვნიათ ჯერ და რადგანაც არ ცოდნა არ ცოდვაა, ჩვენც შეგინდობთ ამას, „რამეთუ არა იცი, რასა იქმ“.

„რომ კვეხულობთო და ზმანებთო, მუდამ რედაქციაში ვართო და უჩემოდ არა იბეჭდება-რაო ჩემს გაზეთშიო, ეს ხომ ნამდვილი სიცრუე გასლავსო“, ეუბნებით, ბ-ნო „მნათობის“ მანათობელო, ჩვენს რედაქტორს.

ჯერ ერთი ეს, რომ აქ არავითარი კვეხნა არ არის, იმიტომ-რომ შესაძლოა რედაქტორი რედაქციაშიაც-მუდამ იყოს და უიმისოდ არა იბეჭდებოდეს რა და მაინც გაზეთი არ ვარგოდეს და შესაძლოა რედაქტორი, თქვენის სიტყვისამებრ, „რედაქციის მახლობლად ჭვრინავდეს“ და საქმე-კი ისე მოაწყოს, რომ გაზეთი ვარგოდეს. კვეხნა ეს-კი არ არის, ჩვენო მაღალზნიანო, უანგარო მოღვაწევ, კვეხნა ის არის, რაც თქვენ თქვენს თავზედ სთქვით „თეატრის“ № 6-ის ფელეტონში, მაგალითებრ: წყალტუბელი ერთს დროს „მნათობსა“ სცემდა (საწყალი! ავი ამ ცემას ვეღარ გაუძლო და თან გადაჰყვა), რომელსაც, ათასი თუმანი-კი არა, ათი თუმანიც არ შემოსდიოდა, მაგრამ მაინც კიდევ ბევრად სჯობდა თქვენს გაწყალებულ და დაობებულ „ივერიასაო“. .... „წყალტუბელს ცოტა სხვაც რამე გაუკეთებიაო (ვერა ჰხედავთ, რა კაცი ყოფილა!) თუ გინდ პედაგოგიის ასპარეზზედ, მაგრამ“... ამის მერე, ბ-ნო წყალტუბელო, თქვენს უანგარობას ჰქადულობთ და ჩვენს რედაქტორს დივიდენდებით ნიშნს უგებთ და ათას თუმნობით ხვეჭას აყვედრით. აქაც შაბაშ თქვენს მაღალ ზნეობას და მართებულებას.

აი კვეხნა რას ჰქვიან. ხოლო აქ კვეხნის გარდა დიდი ლოღიკაც არის. კაცი, რომელსაც ჭკუა დასნეული არა აქვს, ამ საქმეს ასე განსჯიდა. „ივერიას“ ხელის მომწერთაგან ათასი თუმანი შემოსდის. თქვენისავე სიტყვით, სიტყვა-ფეხიანო წყალტუბელო, თქვენ რომ „მნათობსა სცემდით“, ათი თუმანი შემოსდიოდა, აქედამ რა გამოდის? თუ უეჭველია ეს მართალია, მარტო ის გამოდის, რომ „ივერიას“ უფრო კითხულობენ, ვიდრე თქვენ მიერ ცემულს და გვემულს „მნათობსა“ და თუ უფრო კითხულობენ, ხალხს უფრო მოსწონთ. შეიძლება ამისაგან სხვა რამ დასკვნა გამოიყვანოს ჭკვათა მყოფელმა კაცმა?!. შეიძლება ეს გვიპასუხოთ: რა ვუყოთ, რომ «მნათობს» ათის თუმნის მეტი არ შემოსდიოდა. წყალტუბელს იმდენი უცემია, რომ ტვინი გამოულაყებია, და რასაკვირველია, რომ მუშტარი არა ჰყოლია. ეს საბუთი მისაღებია, თუ მართლა ასეა: ხომ თქვენ თვითონ ზმანებთ, „მნათობს“ მე „ვცემდიო“. ამას თავი დავანებოთ, ირონიაა და ირონია თქვენის წყალობით, ბ-ნო წყალტუბელო, ხომ თუჯსაც და თითბერსაც მოიდნობს.

გვეტყვიან, რომ «ივერია» ერთად ერთი გაზეთია და ამიტომაც მის ავკარგიანობის მიუხედავად ბევრი ხელის-მომწერი ჰყავსო. იქნება ეგრეც იყოს. ეხლა ხომ, ბ-ნო პედაგოგო, «თეატრიც» არის და იმედია, თუ თქვენისთანა აპჯრისანი ეყოლება, „ივერიას“ ჩამოაცლის მკითხველებს და თითონ გადაიბარებს ღმერთმა ჰქნას, ჩვენმა ხომ მეგლი დაიჭიროს. ამასაც ვნახავთ, ნამეტნავად მაშინ, თუ თქვენებური „ირონიები“ მოუხშირეთ.

დავანებოთ ყოველ ამას თავი და ერთი ეს გკითხოთ: ეს შინაური ამბები ივერიის რედაქციისა, ანუ რედაქტორისა, იმისდა მიუხედავად მართალია თუ ტყუილი, — რომ ხელში ჩაიგდეთ, ერთი გვიპასუხეთ, მაღალ ზნიანო და უანგარო „პედაგოგო“, როგორ და საიდამ? თქვენ თვითონ ჰჯაშუშობთ ჩვენს რედაქციას, ან რედაქტორს, თუ თქვენ მიერ განგებ ამისათვის ქირით დაჭერილი კაცი? ან ერთი, ან მეორე საკადრისია განა თქვენისთანა «ცნობილ ლიტერატორისათვის, თქვენისთანა პედაგოგიის ასპარეზზედ გამოჩენილ კაცისათვის! რა კარგი უნდა ისწავლონ თქვენგან თქვენმა შეგირდებმა ან თქვენის წრილის მკითხველებმა? განა ნებას მოგვცემთ, რომ თქვენი შინაური ამბები გამოვალაგოთ და მზეზე გამოვფინოთ! და თუნდ რომ მოგვცეთ კიდეც, თქვენ მიერ დაწუნებული „ჩიტი ჩიორა“ ამას განა იკადრებს? ნუ თუ იმით იმართლებთ თავსა, რომ რედაქტორი სხვაა, იმის შინაურის ამბების გამოაშკარავება-კი შეიძლება და ჩემი არაო. ვითომ რატომაო? თქვენც ხომ „ცნობილი ლიტერატორი“ ბძანდებით, პედაგოგიის ასპარეზზედ გამოჩენილი და „მნათობის“ მცემელი. რა განსხვავებაა!.. არ ცოდნა, მართალია, არ ცოდვაა, მაგრამ ამისთანა უხანხანობაც შეუწყნარებელია. ერთი ჰკითხეთ თქვენს მეცნიერს თავს, თქვენ რა საქმე გაქვთ, ივერიის რედაქტორი შინ არის ხოლმე თუ არა, ბევრი აქვს, თუ ცოტა, დივიდენდი ათასობით აქვს, თუ ორი ათასობით. ან ვინ მოგცათ ნება სხვის ჯიბეში ყურებისა და ფათურისა?

ათას თუმანს ხარჯს ახდევინებთო ხელ-მომწერლებსაო, და ამაზე უკბილო ბებერსავით ჩორჩაკნობთ და ვინ იცის რასებს არ მიედ-მოედებით. რაო? ხელის-მომწერლობა ბეგარაა, მახტაა მაგრად დადებული, თუ ნება-ყოფლობაა ხელის მომწერლის? როგორ გგონიათ? აი ღმერთმა შეინახოს მაგისთანა ლიტერატორობა, როგორისაც თქვენ იჩენთ. გვისაყვედურებთ რად გეწყინათ, რომ მთელი თქვენი თანამშრომლები „წამსილწველ“ კაცებად და „ბიჭ-ბუჭებად“ გახსენეთ და თქვენ-კი ის იწყინეთ, რომ გითხარით „ცნობილი ლიტერატორი“ არა ბძანდებით და სრული უვიცობაა, რომ თუჯი, თითბერი, ბრინჯაო ბუნებისაგან ნაკეთებად მიგიღიათ და არა კაცისაგან. ჯერა სთქვით, რომ ეგ ირონიით მომივიდაო, — შაბაშ ირონიას! — და მერე თავსაც ჰმართლულობთ, თუჯის, თითბერის ელემენტებს ბუნება იძლევა და ამიტომაც გსთქვიო. მაშ შილაფლავიც კავკასიის მთების გულში მოისხეთ, რადგან ამის ელემენტებსაც ბუნება იძლევა და თუ ვინმე ამისათვის სასაცილოდ გაგხდით, ირონიას გადააბრალეთ. მე, „ჩიტი-ჩიორას“, მცხვენიან, რომ არიან კაცნი, რომელთაც ასე ფეს მოკლე ლოღიკა აქვთ და მაინც ბრძნობას და სახელს იჩემებენ.

თუ არ შეგიძლიანთ, სხვას გადაეცით თქვენი გაზეთიო“, იძახით და არ გესმით-კი რას ამბობთ. შეუძლიან, თუ არ შეუძლიან, „ივერიის“ რედაქტორს — ეგ თქვენის ჭკუის საქმე არაა ყოფილა, როგორც მე „ჩიტი ჩიორა“ ვხედავ. ეგ მკითხველებს დაანებეთ. იმათ თქვენზე უფრო კარგად იციან და ღონისძიებაც აქვთ, როცა საჭიროდ დაინახვენ, ჩვენს „ივერიას“ ბოლო მოუღონ. ეს მაშინ მოხდება, როცა თქვენ, ბ-ნო წყალტუბელო, ცემას მოუხშირებთ „თეატრს“, როგორც «მნათობსა» სცემდით ერთს დროს, და იმავე საბრძნით განაკარგებთ, როგორც „ერთს დროს მნათობი“ განგიკარგებიათ, და რომ განგიკარგებიათ, ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ ხელის-მომწერლები არამც თუ შეიძინეთ, შემოიფრთხეთ და ბოლოს ხომ სულიც ამოხადეთ თვითონ ჟურნალს. ღმერთმა აშოროს, რასაკვირველია, ამისთანა ბოლო „თეატრს“, მაგრამ თუ თქვენისთანა „მაღალ მაცხოვნებები“ არ დაელია, ყველაფერი მოსალოდნელია.

დასასრულ ერთს ლათაიას მოგახსენებთ, თორემ მკითხველს ეგონება, რომ სიგრძე ამ წერილისა გამოწვეულია საგნის სიდიდისაგან და, სწორედ მოგახსენოთ, არ არის სასურველი, რომ მკითხველნი ამისთანა შეცდომაში შევიყვანოთ.

„თეატრი“ არის, თქვენც იცით,
გულწრფელი და სალ-ჭკვიანი.
იქა სჭენს და ჰჭენს წყალტუბით
მოსული ბრძენი ხნიანი,
თუჯისა და თითბერისა
მთებში მძებნელი სვიანი,
თვით პედაგოგი უებრო,
უანგარო და ზნიანი.
„წყალტუბელია“ სახელი
მისი — ეს საცოდნარია...
აწ გითხრათ ესე სოფელი
რა უმადური მცდარია:
მის ღვაწლმა თურმე აავსო
სიკეთით მთა და ბარია
და არავინ გამოუჩნდა
მხსენებელ-მაქებარია.
იხმნა ყველა თეატრელნი,
თვით ჰზის ლალი და წყნარია,
გვერდსა დაისხნა, დაუწყო
მათ ამო საუბარია.
უბძანა: გკითხავთ საქმესა
ერთგან სასაუბაროსა:
„ივერიამ“ ლამის ყველა
გაახმოს, დაამჭკნაროსა,
ჩემისთანა ბრძენი კაცი
აწბილოს, გაამწაროსა,
მე „მნათობის“ მნათობელი
„წყალ-წყალს“ დამადაროსა
და პედაგოგი უებრო
ლამის წყალს გამატანოსა.
თქვენც ხომ იცით, რა კაცი ვარ,
რის მომქმედი, რის მქნელია!
ერთს დროს ვიყავ „მნათობისა“
მცემელი, მნათობელია,
პედაგოგობით ვიშოვე
დიდება და სახელია,
მას შევწირე, რაც მებადა
ღონე, ცოდნა ყოველია,
არ მისთვის, რომ ფული ვხვეჭო,
მით წავიბილწო ხელია,
მე ხომ ილია არა ვარ,
დივიდენდის მჭამელია,
ანუ ხელის მომწერლების
გამგლეჯი და მძარცველია.
აწ გადავსულვარ, სიბერე
მჭირს ჭირთა უფრო ძნელია...
და ამდენ საქმის მომქმედსა
არვინ მყავს მაქებელია,
არვინ იცის, ვარ-კი სადმე
მე თქვენი „წყალ—ტუბელია“.
თეატრელთ ჰკადრეს, ბატონო,
რად ბრძანეთ თქვენი ბერობა?
ვარდი თუ გაჰხმეს, მაინცა
გამართებს მისივე ჯერობა,
შენივე ჰმეტობს ყოველსა
„სალი ჭკვა, გულთა წრფელობა“:
ეგაა ჩვენი პროგრამმა,
ჩვენის გაზეთის ხელობა.
მოდით და ჩვენთან ილაწეთ,
ვიცით ერთ-ურთის ფერობა;
მაშინ-ღა ჰნახონ „ივერთა“,
თუ კვლავ გაჰბედეს მტერობა.
მაგას ნუ ბძანებთ, ბატონო,
ჯერ ვარდი არ დაგჭკნობია,
შენი ნაწერი ავიცა
„ივერთ“ კარგისა მჯობია,
შენის ღვაწლისა დიდისა
მთელი ქვეყანა მცნობია:
თუჯი, თითბერი, ბრინჯაო
შენგან არს შენამკობია,
შენ გვამცნე, რომე იგინი
ჩვენს მთებსა გულში სწყობია,
შენ კარგად იყავ და „ივერთ“
თუნდ თვალიმც გამოსძრობია.
დეე სთქვან, თუჯი, თითბერი
მთებში არ გაგვიგონია,
დეე სთქვან, ესე ამბები
საიდამ მოგიგონია?
ნუ, ნუ გაუტყდები, გამაგრდი,
საქმე ჰქმენ სამირონია;
თუ გაჭირდა, ყველა ესე,
სთქვი, არის-თქო „ირონია“.

ჩიტი-ჩიორა

◆◆

რუსთაველთან ჯარის-კაცებით მესამე მოქმედებაში და ერთ აურზაურს სტეხავს? ორთელიშვილი ასე დაგვიანებულ სტუმრობის გასამართლებლად იმას ამბობს, რომ ათაბაგი მეფესთან არის, საცაა ბრძანებას მოიტანს და რუსთაველი უნდა დავაპატიმროვო. კარგი, მაგრამ ასეთი სულ-სწრაფობა რაღაა, ჯერ ბრძანებას მიიღებდა და დასაპატიმრებლად ისე წამოვიდოდა. იქნება დედოფალს იმას დაპატიმრების ბრძანება არ მიეცა, ვინ იცის, მაშინ რაღა უნდა ექნა, როგორ-ღა უნდა გაბრუნებულიყო უკან, როცა მთელი სახლი ფეხზედ დააყენა და მალხაზი და რუსთაველი დააფეთიანა?

ორთელიშვილს-კი რომ უარის მოლოდინი უფრო უნდა ჰქონოდა, ვიდრე თამარის ნება-რთვისა, აშკარაა. ნუ თუ ორთელიშვილს, თამარ მეფის კარის-კაცს, არ ეცოდინებოდა, რომ თამარისაგან აკრძალული იყო, არამც თუ ვისიმე სიკვდილით დასჯა, არამედ ყოველ გვარი წვალება და დაშავება სხეულისა? ჩვენი მატიანე მოგვითხრობს რა ამას, თამარის ქებითა და დიდებით ამბობს, რომ იმის დროს არავინ არ დასჯილაო და როცა დავით სოსლანმა ერთი ავაზაკი სიკვდილით დასაჯა, წინადვე არც-კი აცნობა თამარს, ნებას არ მომცემს და დამიშლისო.

მართალია, ისტორიულ დრამის მწერალს ისტორია ყველაფერში არ მოეთხოვება, მაგრამ ამისთანა დიდმნიშვნელობიანი ამბავი, განმასურათებელი ეპოქისა, არ უნდა დაივიწყოს. ჩვენმა ავტორმა-კი, არამც თუ დაივიწყა, პირ-იქით, თამარს კინაღამ რუსთაველიც-კი არ მოაკვლევინა, რადგან იმის სიკვდილით დასჯის ოქმი დაამტკიცებინა. ეს, ჩვენის ფიქრით, დიდი შეცდომაა ავტორისა და ამის მცოდნე მსმენელს აწბილებს. ეს სცენა ორთელიშვილის შემოსვლისა თითქო განგებ ჩაკერებულია და თუ არ აფუჭებს პიესას, ღირსებას არასა ჰმატებს.

ორიოდე სიტყვა უნდა ვსთქვათ აგრეთვე ესრედ წოდებულ სცენის ეფექტზედაც. „რუსთაველს“ დრამის ნასახი თუ ეტყობა სადმე, ეს ისევ მალხაზის სიყვარულია, ამ გამბედავისა და მამაცის ყმაწვილის ქალისა. მაგრამ ავტორი, იმის მაგიერ, რომ ეს დრამა უფრო ძლიერად დაეხატნა, მალხაზის ყმაწვილ ქალობას გვიფარავს და უკანასკნელ მოქმედებამდე არას გვეუბნება, ერთბაშად უნდა გაგვაოცოს. აი ასეთს მოულოდნელობას სცენის ეფექტს ეძახიან და ავტორი, როგორც არტისტი, ამ ეფექტს დიდის ზრუნვით ჰპატრონობს ბოლომდე. მართალია, პირველს მოქმედებაში ორჯელ სიტყვა გადმოკრულია მალხაზის ვინაობაზედ, ერთგან ორთელიშვილი ამბობს:

ამ მალხაზის ხმა, პირი-სახე ყოველთვის განკალს
მომგვრის მე ხოლმე, თითქოს სადღაც იგი მენახოს!

და მეორე ალაგას ამავე მოქმედებაში მწერალი თვით მალხაზს ათქმევინებს:

ვერ ვეღირსები ვერასოდეს მე უბედური
ამის სიყვარულს!

მაგრამ ეს სიტყვები ჰო-არაობას უმატებს და არაფერს არ უხსნის მსმენელს. ამ ეფექტისათვის რომ თავი დაენებებინა, რა მშვენიერი მასალა ჰქონდა ავტორს საზოგადოების გულის ასაჩქროლებლად? დეე, სცოდნიყო მაყურებელს მალხაზის ვინაობა რა, სამაგიეროდ რა საშინელს მოლოდინში იქნებოდა, რომ აცა, ეხლა ავხდება საიდუმლოს ფარდა, ყმაწვილის ქალის ვინაობას სხვებიც შეიტყობენ და ჩვენც დავინახავთ, რა მოხდებაო. აი ამისთანა ეფექტზედ რას ამბობს საზოგადოდ საფრანგეთის სახელ-განთქმული კრიტიკოსი დიდრო: „...ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ ათში ერთს შემთხვევას ძლივს დამასახელებთ ისეთს, სადაც საჭიროა მაყურებლისაგან დაფარული იყოს რომელიმე შესანიშნავი ამბავი იმ დრომდე, ვიდრე ეს ამბავი თვით პიესაშივე არ გამოაშკარავდება. პოეტს სურს თავისის საიდუმლოთი უეცრად გამაოცოს, მაგრამ რომ არ დაეფარა და მოლოდინში ვყოლოდი, როგორ ამიჩქროლებდა გულს. ეხლა მხოლოდ ერთს წუთს შევინანებ იმ გმირს, რომელსაც უეცრად უბედურება ემართება, მაგრამ ვინ იცის რა არ გამომეცადა, ამ უბედურების წუთით-წუთზედ რომ მომლოდინე ვყოფილიყავი?.. დეე მომქმედი პირები ნუ იცნობენ ერთმანეთს, თუ გინდათ, მაგრამ მაყურებელი-კი ყველას უნდა იცნობდეს. თითქმის მზადა ვარ დავამტკიცო, რომ ის ამბავი, რომლისათვისაც საიდუმლო და ხვაშიადია საჭირო, ვერაფერი შვილი ამბავია, და გაცილებით ჩამორჩება იმ ამბავს, რომელშიაც მაყურებლისათვის ყველაფერი ნათლად და აშკარად სწარმოებს. ასეთი დაფარული ამბავი თავის დღეში დიდად ვერ იმოქმედებს საზოგადოებაზე... ზოგიერთი მონოლოგი ისე ძლიერ რად ჰმოქმედობს მაყურებელზე? იმიტომ-რომ მონოლოგის შემწეობით საზოგადოება მომქმედის პირის დაფარულს განზრახვას იტყობს და ერთსა და იმავე დროს შიში და იმედი აღეძვრება გულში“ და სხვ.

ამავე აზრისაა გერმანიის გამოჩენილი დრამატურგი ლესსინგიც.

ამ ნაკლთა მიუხედავად პიესას ბევრი ღირსებაცა აქვს. პირველი ღირსება ავტორისა ის არის, რომ შეეცადა გამოგვიხატოს ძველის დროების ფეოდალი და ამით ცოტად თუ ბევრად გვამცნო წარსული. ამას გარდა პიესა მშვენიერის თოთხმეტ-მარცვლოვანის ურითმო ლექსით არის დაწერილი და ენის მხრითაც იშვიათად თუ ჰბორძიკობს სადმე. პიესა სცენის საკმაო ცოდნით არის შექმნილი და ამ მხრითაცა და ყველა სხვითაც კარგა გაცილებით სჯობია ავტორის წინანდელს პიესებს — „თამარ ბატონიშვილსა“ და „ბაგრატ მე-IV“. დასასრულ ვიტყვით, რომ პიესა დიდის სიამოვნებითა და ყურადღებით მოისმინა საზოგადოებამ, ქართულის სცენის რეპერტუარში ერთ საუკეთესო ნაწარმოებად არის ჩასათვლელი და, ჩვენის ფიქრით, დიდხანსაც არ მოიწყენს საზოგადოება იმის სმენითა და ცქერით დატკბობას. თუ ჩვენ აქ მარტო ნაკლი ვახსენეთ, ჯერ იმისთვის, რომ უნაკლულო ქვეყანაზედ არა არის-რა, და მეორე იმისთვის, რომ, სასურველია, თუ ავტორიც დაგვეთანხმება, ჩვენ მიერ შენიშნული ნაკლი შემდეგში აღარ იყოს და შეასწოროს.

მანოელიძე

◆

რა მასმევს ღვინოს?

(კინტოს აღსარება)

დიდი და პატარა ჩამომკიდებია: „კაცო, რა ღმერთი გიწყრება, მუცელში რა გენია მოგკიდებია, რომ ყოველ დღე მაგოდენა ღვინოს სცეცხლავ... ლოთობისაგან დაბექილ პანტა-ჰანჭკურსავითა და მაქალო ვაშლსავით დაგლურჯებია ცხვირ-პირი, მაგრამ მაინც ვერ იქნა, კუჭს პირი ვერ შეაკრევინე, წყურვილი ვერ მოიკალ. რა გასმევს მაგდენს, სტომაქში გაუმაძღარი სვავი ჩაგჯდომია, თუ რა ღვთის წყრომა დაგმართებიაო!“

რა მასმევს ღვინოს?.. რა-და, შუშა კიტრი თავის კომბოსტოს ფოთოლში გახვეულ ფოთლით, სველი, წინწკალ-შეყრილი ჩარექა, დუდუკის ტკბილი კვნესა-ტირილი, „ლოთებო, ნეტავი ჩვენა“, ჩასპანდ კულა-ყანწის „კლ-კლ-კლ“ მასმევს, რა ვიცი კიდევ...

რა მასმევს ღვინოს?.. შენ ისა სთქვი, რა მიშლის, თორემ სმით რა არ მასმევს. რა-და, შენი ძმა-ბიჭობა, გენაცვა სულის კლიტეში, შენი ლოთიფოთურობა, ქრისტიანობა, ქვეყნის რჯული და ადათი, ჭირი და ლხინი, მტერი და მოყვარე... ვინ მოსთვლის?

რა მასმევს ღვინოს?.. ეშმაკი და ქაჯი, რა ვიცი. რა მასმევს-და, ცაკანას ჰიჭყინა თევზი, მელქუას ჩიქაპიქებიანი ხაში, შამაის ალათ-მალათი, შიშხინა და მწერიანი ღორის მწვადი, ცივად მოხარშული დედალი, გულში რომ ყვითლად დაუნაჭუჭებელი კვერცხები გამოსჩრია, წითლად დაბრაწულ ინდაურის ფრთა-ბარკალი, ალზედ გატუსულ ბურვაკის ნეკნები, მარილში დახალული ფსტა-ნუში... სად მახსოვს.

რა მასმევს ღვინოს?.. ერთმანეთში საყვარლებსავით ჩახვეულ-ჩახუტებული ვაზის რქა-ფოთოლი, პატარძლის ხელით დაკრეფილი და კოხტა ვირით მოტანილი პრასა-ნიახური, აღდგომის კვერცხსავით ჰიაფერში ამოვლებული ბოლოკი, თალიში ხახვი, კბილებში რომ კნაწა-კნუწი გააქვს, ჩაბიჟბიჟებული და ძმარ-გამჯდარი მუჟუჟი. შენ დათვალე!..

რა მასმევს ღვინოს?.. ჩემის ტოლ-ამხანაგის, ხემსავით ბეჰაია ლოთის, სიყმე-მკვდარ ყარაჩოღალის „გამარჯობა-გაგიმარჯოს“, „ალავერდი იახშიოლი“ მასმევს, რა უნდა მასმევდეს. დუდუკის ტკბილს ხმაზე ატეხილი ეშხი მასმევს. აბა ერთი თათარიახნად ორი ჩარექა გადაჰკარ, მერე ორთაჭალას მტკვრის პირად კუპრიას დუდუკი ააზუზუნებინე და გაიგებ რაც მასმევს. ყური დაუგდე, კუპრია რომ დუდუკს ჩაუშაქრებს და ჩაუტკბილებს, ჩააკაკან-ჩაარაკრაკებს, ასწევს, აიტანს, ჰაერში წავა და შენც თან წაგიღებს, და მაშინ შეიტყობ რაც მასმევს. გული ჰიანურსავით რომ კვნესას დაგიწყებს და ზურნის ეშხიანი ჰანგი გვერდებში გაგიჯდება, სული ჰაა, სალაა ყანყრატოში ამოგივა... ფიალა გიჭირავს და გონებით ვარსკვლავებში ჰფრინავ, არც სხვა გახსოვს, არც შენი თავი, გარშემო ღრუბლები გახვევია, გული ლამის ისე ამოგიფრინდეს საგულედგან, როგორც მელქუას ბადიდგან ჰიჭყინა ამოუფართხალდება ხოლმე, — ის მასმევს, ის!..

რა მასმევს?.. უზმოზედ რასა მკითხავ, როცა ღვიძლ ჯიგარზედ ობი მომკიდებია. მაშინ მნახე, საკინძე ჩამოწყვეტილი და გულ-გადაღეღილი მტკვრის პირას რომ ვიჯდე, ფოთლებში გაშლილს მწვანე სუფრას მთვარე დაჰკაშკაშებდეს, თითო ხელადაზედ თორმეტი წყვილი წმინდა სანთელი ლაპლაპებდეს და ზედ ანგელოზები დამტრიალებდნენ, ორივ ყურში დუდუკი ჩამკვნესოდეს, ცალს ფეხზედ ჩუსტი არ მეცვას, შუბლს გაციებულ კიტრის ნაფცქვენი მიგრილებდეს და ჩარექა მოყუდებული მეჭიროს, — აბა მაშინ მნახე და აღარა მკითხავ რა მასმევს!..

ორ-ანი

◆◆

უცხოეთი

შვეიცარია. შვეიცარიელებს ცოტა არ იყოს სწყინთ, რომ როცა ჩვენა ვსთქვით, საერთაშორისო კონგრესი შევყაროთ და იმას მივანდოთ გადაწყვეტა მუშათა საქმისაო, გერმანიამ ჩვენი სიტყვა გაატრიზავა, ბანზე შეისროლა და ახლა-კი თვითონაც იმავე გზას დაადგა, რასაც ჩვენ ვურჩევდით ქვეყანასაო. მაგრამ ჩვენ მაინც ისე საყურადღებოდ მიგვაჩნია ეგ საქმე, რომ ჩვენს კერძო წყენას არას დავდევთ და თანაგრძნობით მოვეკიდებით გერმანიის თაოსნობას ამ საქმეშიო. კონგრესი ჯიბრისა და ცილობის მოსასპობად უნდა შეიკრიბოს და მხარის მიუცემლობა ჩვენის მხრით უაზრობა და უგუნურება იქნება. დეე გერმანიამ დაიჩემოს პირველობა ამ საქმეში, ჩვენ გავწირავთ პირველობას და თაოსნობას, ოღონდ-კი საქმეს ეშველოს და მუშათა გაჭირებული მდგომარეობა განკარგებულ იქმნასო.

საფრანგეთი. მონარქიულ გაზეთებსაც არ მოსწონთ გერმანიის წინადადება კონგრესის თაობაზე. ერთს სადილზე რომ დაგვპატიჟონ, იმავე დროს მეორე სადილზე დაპატიჟებას ვეღარ შევიწყნარებთო. რაკი შვეიცარიას გამოვუცხადეთ თანხმობა, ახლა აღარ შეგვიძლიან გერმანიას თანხმობა შევუთვალოთ. მიზეზი ეს გარემოება იყოს უარისა, თუმცა-კი ვეცადოთ, რომ უარი რაც შეიძლება თავაზიანობითა და ტკბილის სიტყვებით მოვერთოთო.

გერმანია. კითხულობენ, გერმანიამ მარტო საფრანგეთს, ინგლისს, ბელგიასა და შვეიცარიას რად მიჰმართაო, ამბობს ერთი მთავრობის მომხრე გაზეთი. იმიტომაო, თვითვე იძლევა პასუხს: რომ ეს ქვეყნებიც ჩვენსავით დიდს გაჭირებაში არიან მუშათა საქმის გამწვავების გამო. შვეიცარიის გამოკლება არ იქნებოდა, თუმცა იქ საქმე გამწვავებული არ არის, იმიტომ რომ შვეიცარიას საზოგადოდ დიდი ღვაწლი მიუძღვის სოციალურ პოლიტიკის წინაშე. ესეც-კი უნდა ვსთქვათ, რომ კანცლერმა იტალია, შვეცია და დანიაც მოიწვიაო.

— სოციალ-დემოკრატმა ფოლმარმა სთქვა იმპერატორის შესახებ ერთს კრებაზე, რომ მთავრობის პროგრამას კონგრესის შესახებ დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მაინც უნდა მოვაგონოთ ვესტფალიის ამბავი. უნდა იცოდეთ, რა გულ-ცივად და გულ-ქვაობით მოიქცნენ მთა-მადნების პატრონები ვესტფალიაში, როცა იმპერატორმა სთხოვა, დაუთმეთ რამე მუშებსაო. ეგრევა ბურჟუების საქმე. მაშინ დაიწყობენ ლიბერალობას და ყვირილს, ძალას გვატანენ კეთილ საქმეშიო, როცა ფულების გაღებაზე მიდგება ჯერი. მეორე სოციალ-დემოკრატმა გლენბერგმა სთქვა, რომ მართალია, მთავრობის წინადადება კარგი და პატივსაცემი დაწყობილებაა, მაგრამ მაინც ამომრჩეველნი უნდა ეცადნონ თქვენის კონდიტატებისათვისაო. ჯერ იმიტომ, რომ ეგ წინადადება სწორედ არჩევანების წინად გატყვრა და, ცოტა არ იყოს, ძრიელ ჰგავს საარჩევანო ხერხსაო; მეორეც იმიტომ-რომ, თუ მტკიცედ არ მოითხოვეთ ასრულება დანაპირებისა, მთავრობის პროგრამას ისევე დაამახინჯებენ, როგორც დაამახინჯეს და გადაასხვაფერეს მშვენიერი აზრი მუშების უზრუნველ-ყოფისაო.

◆◆

წვრილი ამბები

„Western Electrician“-ის სიტყვით ვიღასაც გამოუცხადებია, რომ იმ გვარი საშუალება მოვიგონე, რომელმაც უნდა მოსპოს ხალხთა შორის ომი და დაამყაროს ქვეყანაზე სამუდამოდ მშვიდობიანობაო. ეს საშუალება მომგონის სიტყვით, ერთ გვარი მანქანაა და ამ მანქანის შემწეობით ადამიანს შეუძლიან ელვა გააჩინოს ერთის მილის მანძილზედ და უფრო შორსაც, დასცეს მტრის ჯარს და ერთიანად ამოსწყვიტოს. თუ ომში მოწინააღმდეგებმა ეს საშუალება იხმარეს, მაშინ ხომ სრულიად ამოსწყვეტენ ერთმანეთს და თუ ერთიან ამოწყვეტა არ უნდათ ერთმანეთისა, მეტი ღონე არ ექმნებათ, ომს თავი უნდა დაანებონო.

— პროფესორმა საისმა ლექციის კითხვის დროს მანჩესტერში აუწყა თავისს მსმენელებს, რომ ახლა ხანს ეგვიპტეში აღმოუჩენიათ შესანიშნავი ნაშთები იმ დროისა, როდესაც ებრაელები დამონავებული ჰყავდათ ეგვიპტელებს. გორსხანების თხრის დროს ნილის აღმოსავლეთით ჰნახეს პატარა წარწერიანი ფილები. ამ ფილებს წარწერა ძველ-ბაბილონურ ენაზე აქვთ. როგორც სჩანს, იმ ძველს დროსაც ყოფილა მიწერ-მოწერა ეგვიპტესა და ბაბილონს შორის და საზოგადოდ მთელს დასავლეთს აზიაში.

— დოკტორს ოტტოლენგის თმის გათეთრების მიზეზნი შეუსწავლია და გამოუკვლევია. ოტტოლენგი იმ აზრისაა, რომ რაც უფრო ჭკვიანია კაცი, მით უფრო ადრე ერევა ჭაღარა. ჩვეულებრივად ადამიანს მაშინ უთეთრდება თმა, როცა ოც-და-ათი წლისა შესრულდება. სწავლული ლიტერატორი, მხატვარი და სახელმწიფო მოღვაწე 20—30 წ. ჭაღარავდება, უბრალო სიკვდილის შვილი 30—35 წ., ჭკუა-ნაკლები და სულელი 40—45 წ. ამას გარდა თუ ადამიანს ზნეობრივი გრძნობა განვითარებული აქვს თმაც ადრე უთეთრდება, ავაზაკებს-კი მხოლოდ მაშინ შემოერევათ ხოლმე ჭაღარა, როცა 40 წ. მიაწევენ. დოკტორი ოტტოლენგი ამბობს: რიგი და წესია, ადამიანს ოც და ათი წლისას შემოერიოს ჭაღარა და ამიტომაც ვინც 34 წ. გამხდარა და თმა არ გასთეთრებია, და ამასთან არც ის უნდა, რომ ჭკუა ნაკლულობა შესწამოს ვინმე, იმან ან უმარილი უნდა დაიყაროს და ან თუთრად შეიღებოს თმა.

— მექსიკაში, როგორც ნიუ-იორკიდგან მოდის ამბავი, ინფლუენცია ისეთს მუსრს ავლებს თურმე ხალხს, რომ მკვდრების დამარხვასაც ვეღარ ასწრებენ რიგიანად.

◆◆

დეპეშები

7 თებერვალი

პეტერბურგი. სახელმწიფო საბჭოს წარუდგინეს უკვე აზრი მოსკოვში სპირტის საწყობის დაფუძნებისა სპირტის შესანახავად. საწყობის გამგედ იქმნება აქციზის შემოსავლის ზედამხედველი და გამგებელი. საკრედიტო დაწესებულებათ ნება მიეცემათ გასცენ სესხი და გირაოდ საწყობში შესანახად ჩაბარებული სპირტი იქონიონ.

შემუშავებულ იქმნა პროექტი, რომ შეიცვალოს საზოგადოდ შეკრა მამულებისა სხვა გვარის წესებით. ახალს წესს უზრუნველ-ყოფისას მიჰმართვენ მაშინ, როცა სახელმწიფო ხაზინის სასარგებლოდ უნდა გადახდეს მოვალეს სამ თუმანზე მეტი და როცა ეს ფული ადმინისტრატებურისა და სამოსამართლო წესით დასდებია მოვალეს და სხვა ქონება არა აქვს-რა ვალის გასასტუმრებლად. ეს ახალი წესი შემოღებულ იქმნება 1891 წლის 1 იანვრიდამ.

აპირობენ ახალის წესების შემოღებას მამულების გაცემისას სხვა-და-სხვა შემთხვევაში.

„Нов. Вр.“ გაუგონია, რომ სახელმწიფო საბჭომ დაამტკიცა პროექტი იუსტიციის მინისტრისა სავექსილო წესდების ცვლილებათა შესახებაო.

საკასაციო საჩივარს ფოსტის უფროსის პონომარიოვისას, უბრალოდ მსჯავრ დადებულისას ვითომ ფულის მითვისებისათვის, და აგრეთვე წინადადებას ობერ-პროკურორისას, რომ ხელ-მეორედ გაირჩეს ეგ საქმე, სენატი მოისმენს 13 თებერვალს.

ვერნი. 800 დუნგანს უნდა მიიღოს რუსეთის ქვეშევრდომობა.

პეტერბურგის ბირჟა, 1 თებერვალი.

	მყიდველნი ჰყ.		იყიდებოდა.		გაიყიდა.	
	მან.	კ.	მან.	კ.	მან.	კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო	—	„		„	7	32
ტამოჟნის კუპონები	—	„		„	146¼	
მანათიანი ვერცხლის ფული	1	08	—	„	—	„
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	240		—	„	—	„
—მეორისა	229		—	„	—	„
—მესამისა	—	„	—	„	218¾	
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა	—	„	—	„	—	„
ქუთაისის ბანკისა	—	„	—	„	—	„
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	—	„	—	„	—	„

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყჟ (1890) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7398.

ძველი ინდიქტიონი მე-14

ახალი ქორონიკონი—უპბ=482 წელიწადია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4.

ამისი ქორონიკონი მე-46 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1890 წლის ზედნადებია—17.

თებერვალი 28 დღით არის

9 დღე პარასკევი. ქართ. უველიერის პარასკევი. წმ. მოწ. ნიკიფორესი. კათოლ. წმ. ქალწულ-მოწამისა აპოლონისა. სომეხ. წმ. თორმეტთა მოციქულთა. მზე ამოდის 6—47, ჩადის 5—40. ჭეშმარიტი შუადღე 12—13, მთვარე 1 დღისაა.

10 დღე შაბათი. ქართ. უველიერის შაბათი. წმ. მოწამისა ხარლამპისა. კათოლ. წმ. ირინესი. სომეხ. წმ. სააკისა. მზე ამოდის 6—76, ჩადის 5—42. ჭეშმარიტი შუადღე 12—13. მთვარე 2 დღისაა.

11 დღე კვირა. ქართ. დიდი აღება. წმიდისა მღვდელ-მოწამისა ვლასისა. კათოლ. წმ. ანდრია კორსინელ ეპისკ. სომეხ. დიდი აღება. მზე ამოდის 6—44, ჩადის 5—43. ჭეშმარიტი შუადღე 12—13. მთვარე 3 დღისაა.

12 დღე ორშაბათი. ქართ. დიდ-მარხვის დაწყება. წმიდათა შორის მელეტი დიდისა, ანტიოხიის მთავარ-ეპისკოპოზისა. კათოლ. წმ. ევლიალი და პეტრესი. სომეხ. დიდ-მარხვის დაწყება. ქუთაისში გაიხსნა სავაჟო გიმნაზია, 1850 წ. მზე ამოდის 6—43, ჩადის 5—45. ჭეშმარიტი შუადღე 12—13. მთვარე 4 დღისაა.

განცხადებანი

„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიამ შეიძინა

ჟურნალ „ნობათი“-ს

ყველა ნომერი, გარდა სანიმუშოსი, რომელიც სრულებით აღარ მოიპოვება გასასყიდად. ყველა ნომერი ერთად, რიცხვით ათი წიგნი, ზედ დამატებით ცალკე წიგნად დაბეჭდილ წიგნისა «ღომკაცი», —სულ თერთმეტი წიგნი ღირს

2 მან.

ვინც ტფილისის გარეშე დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

გამოვიდა და ისყიდება
„უბის წიგნი 1890 წლისათვის“
შედგენილი და გამოცემული
ვალ. გუნიას მიერ
ფასი 40 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება
მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ბორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად
თხზულება
ა. ი. სუმბათაშვილისა
თარგმანი ა. შ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

	მან.	კაპ
გლახის ნაამბობი, ილ. ჭავჭავაძისა	„	25
მეფე ლირი, თარგ. ილ. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლისა ინგლის.	„	60
თხზულებანი ნ. ზ. ანტონოვისა:	1	„
ისტორია საქართველოსი, დ. ბაქრაძისა	1	„
მოკლე დარიგება ხეხილების გამრავლებაზე სურათებით, „მეურნეს გამოცემა“	„	20
ქართული თეატრი, ვ. გუნიასი	„	40
ბედი უბედურთა, მოთხრობა ნ. ლომაურისა	„	15

Доз. ценз Тифлисъ 8-го Февраля, 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე